

# საქართველოს მთავრობის

განკარგულება №699

2016 წლის 22 აპრილი

ქ. თბილისი

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ლ“, „კ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 მუხლის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).

2. ეთხოვით საქართველოს პარლამენტს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, სსიპ – საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, კომპეტენციის ფარგლებში, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა შესაბამისი საქონლის ან/და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. განკარგულება, გარდა მესამე პუნქტისა, ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულების მესამე პუნქტი, სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიების შესრულებაზე პასუხისმგებელი თითოეული შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ძალაში შევიდეს შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ შესაბამისი განკარგულების ძალაში შესვლის მომენტიდან.

6. ამ განკარგულების მე-3 პუნქტი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, თუ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ღონისძიებაზე პასუხისმგებელ უწყებას, ღონისძიების დაფინანსების უზრუნველსაყოფად ესაჭიროება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა.

**პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი**

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღის – 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმა

ღონისძიების დასახელება	ღონისძიებაზე პასუხისმგებელი უწყება
საზეიმო ღონისძიებისათვის საჭირო ბეჭდვითი მომსახურებების (მოწვეული სტუმრებისათვის საშვების, ღონისძიების ოფიციალური პროგრამის, სტიკერების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური გამოსვლის ტექსტის (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და მოსაწვევების (კონვერტებით) დამზადება და ა. შ.) შექმნა	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
საზეიმო ღონისძიების სარეკლამო, კაპსულის კამპანიისა და დიზაინის უზრუნველყოფა	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ოფიციალური მიღების ორგანიზების უზრუნველყოფა	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
საორგანიზაციო ჯგუფი/ ივენთკომპანიის მომსახურება	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
საზეიმო ღონისძიებების გადაღება თბილისსა და	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებელი

რეგიონებში, პირდაპირ ეთერში ტრანსლირება	
ფიცის დადების საზეიმო ღონისძიება თავისუფლების მოედანსა და ხუთ რეგიონში (აჭარა - ბათუმი, იმერეთი - ქუთაისი, სამეგრელო - სენაკი; ახალციხე - ვარძია; კახეთი - იყალთო), გახმოვანებისა და ლედმონიტორების უზრუნველყოფა; თავისუფლების მოედანზე ტრიბუნებისა და სცენის აწყობა; სცენის შეფუთვა; ტანკებისა და სხვა ჯავშანტექნიკის გამოფენა; რეჟისურისა და შემოქმედებითი ჯგუფის სამუშაოების ანაზღაურება; ფიცის ცერემონიაზე მოსაწვევების დაბეჭდვა-დარიგება	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე დეკორატიული უზრუნველყოფა; ახალგაზრდებისათვის ველოსიპედების ზონის მოწყობა; ტექნიკის გამოფენა; სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ფოტოგამოფენა; სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის სისტემით აღჭურვილი საბავშვო სახლი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საორგანიზაციო ჯგუფის რაციებით უზრუნველყოფა; ხალხმრავალ ადგილებში წესრიგის უზრუნველყოფა	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
რუსთაველის გამზირისა და თავისუფლების მოედნის გადაკეტვა	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია/საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ვიზალიბერალიზაციის თემაზე მულტიმედიურ - ინტერაქციული სივრცის მოწყობა	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
ეთნიკური უმცირესობების ფოლკლორული კონცერტის უზრუნველყოფა; პოდიუმის, გახმოვანების უზრუნველყოფა	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თსუ-სა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკალური ბენდების კონცერტების უზრუნველყოფა რუსთაველის გამზირზე; პროფესიული სასწავლებლების პერფორმანსები; მონიტორისა და კონტენტის უზრუნველყოფა კონცერტისთვის	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ღვინო, თხილი, თაფლი, მშრალი ხილი და სხვა) პოპულარიზაციის მიზნით დეკორაციების მოწყობა - სახელმწიფო ხელშეწყობით დაფინანსებული საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმოებული პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, სადეგუსტაციო კუთხის მოწყობა, ასევე პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფოს პერიოდის (აგრარული მიმართულებით) ამსახველი ფოტო-გამოფენა; საბავშვო გასართობი კუთხეების მოწყობა	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მთელი ქალაქის მასშტაბით ქალაქის გაფორმება; ქალაქის ქუჩებისა და ღონისძიებაში მონაწილე სატრანსპორტო საშუალებების გაფორმება დროშებითა და ბანერებით; ქ. თბილისის ანძის საზეიმოდ განათება; შუშის ხიდის საქართველოს დროშის ფერებში განათება; პარლამენტის წინ სცენის აგება-შეფუთვა; გახმოვანების, განათების აპარატურის უზრუნველყოფა; ლედ-მონიტორების უზრუნველყოფა; კონცერტის პროგრამის სრულყოფილად უზრუნველყოფა 13:00 სთ-დან-23:00 სთ-მდე; ე. წ. უკანა ხაზის უზრუნველყოფა; რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ 21:00 სთ-დან საზეიმო კონცერტი და ფოიერვერკი; რუსთაველის გამზირზე მოსიარულე პანტომიმისა და სხვადასხვა თეატრის მსახიობების მობილიზება;	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მომზადების თეატრის მინი-წარმოდგენების უზრუნველყოფა; უნივერსიტეტების ბენდებისათვის პოდიუმის, გახმოვანების უზრუნველყოფა; ისტორიული კოსტუმებით ცოცხალი ქანდაკებების სივრცის მოწყობა; ჯებირებითა და დენის წყაროებით უზრუნველყოფა; რუსთაველის გამზირსა და ვარდების მოედანზე დაცვის მობილიზება; „ყვავილების ფესტივალი“ თბილისის კლასიკური გიმნაზიის კიბეებსა და რუსთაველის გამზირზე; თავისუფლების მოედნისა და რუსთაველის გამზირის მიმდებარე ტერიტორიებზე ბიოტუალეტების დაყენება	
აეროპორტებისა და საბაჟოების საზეიმოდ მორთვა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
დღის ღონისძიების უზრუნველყოფა ახალგაზრდებისათვის და მიმდებარე ტერიტორიის დეკორაციის მოწყობა	საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო
საბავშვო სივრცის მოწყობა - კუბებითა და სხვადასხვა სახის ნივთებით ხიდებისა და გზების მშენებლობის მოწყობა	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საბავშვო სივრცის მოწყობა - ორიგამების ნატურის ხის ინსტალაცია; ყვავილებისა და ნერგების კუთხის მოწყობა; ხელოვნური შადრევანი; სეპარაციის ურნებით უზრუნველყოფა	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
რუსთაველის გამზირსა და მიმდებარე ტერიტორიებზე გამოყოფილ კუთხეებში სხვადასხვა სპორტული მოედნების მოწყობა (ქუჩის კალათბურთი, ჭიდაობა, ხრიდოლი, ჯილდაობა, ჭადრაკი დიდი ფიგურებით); სპორტკაფეს დეკორირება; სამუზეუმო სივრცეში სპორტის კუთხის მოწყობა	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
ევროკავშირისა და ვიზალიბერალიზაციის თემატიკაზე საინფორმაციო-გასართობი ზონის მოწყობა	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
საგამოფენო სივრცის მოწყობა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზებში	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
სამუზეუმო სივრცეში „25 წლის ისტორიის გამოფენა“; საარქივო მასალა; სპორტის კუთხე; ეროვნული ვალუტის კუთხე; 1918-1921 წლების შსს	საქართველოს პარლამენტი / საქართველოს იუსტიციის სამინისტრო / საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო / საქართველოს ეროვნული ბანკი / საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ქალაქებში: ზუგდიდი, ფოთი, თელავი, ახალციხე, ოზურგეთი, გორი, მცხეთა, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი, ამბროლაური - საზეიმო ღონისძიებების გამართვა. სცენებით, ტექნიკური აპარატურითა და კულტურული პროგრამით უზრუნველყოფა; სადღესასწაულო ფოიერვერკი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს ახალგაზრდობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის 1918-1921 წლების თემატიკით მორთვა/გაფორმება; სპექტაკლიდან „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ ნაწყვეტები; ახალგაზრდობის სასახლიდან ცისფერ გალერეამდე სავალ ნაწილზე ფრაგმენტები (საქართველოს ჰიმნიდან, კონსტიტუციიდან, საზოგადო მოღვაწეთა ცნობილი გამონათქვამები); რუსთაველის კინოთეატრის წინ ეკრანისა და ქართული კინოს ისტორიის ჩვენების უზრუნველყოფა (ნაწყვეტები ქართული მხატვრული ფილმებიდან); შენობის ფასადებზე პილონების განთავსება ქართველ ხელოვანთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა გამოსახულებით; სამი არტკაფეს დეკორაციითა და კულტურული პროგრამით	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

<p>უზრუნველყოფა (1.სამხატვრო კაფე; 2. თეატრალური კაფე; 3. საოპერო ხელოვნების კაფე); რუსთაველის გამზირზე ორი სცენის, გახმოვანებისა და კულტურული პროგრამის უზრუნველყოფა; „პიანინოების“ პროექტის უზრუნველყოფა</p>	
<p>მუნიციპალიტეტებისთვის ( ქ. ზუგდიდის, ქ. ფოთის, ქ. თელავის, ქ. ახალციხის, ქ. ოზურგეთის, ქ. გორის, ქ. მცხეთის, ქ. რუსთავის, ქ. ბათუმის, ქ. ქუთაისის, ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტები) მათ მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ქუჩებისა და საკონცერტო სცენების მორთვა-გაფორმების მიზნით, დროშებისა და ბანერების შესყიდვა და მათი გადაცემის უზრუნველყოფა</p>	<p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p>